*** **საჯარო გაჭრობანი ტფ. სათ.-აზნ. საადგ.-მამ. ბანკში დანიშნულია:** 1) ქალაქის იმ მამულებისა, რომელთა გირაოთიც გაცემულია გრძელ-ვადიანი სესხი, 18 დეკემბერს; 2) ქალაქის იმ მამულებისა (ქ. ტფილისს გარდა), რომელთა გირაოთიც გაცემულია გრძელ-ვადიანი სესხი,—20 დეკემბერს; 3) სოფლის იმ მამულებისა, რომელთა გირაოთიც გაცემულია გრძელ-ვადიანი სესხი,—22 დეკემბერს; 4) სოფლის იმ მამულებისა, რომელთა გირაოთიც გაცემულია მოკლე-ვადიანი სესხი, ხოლო თავნის ვალის გადახდის ვადა კი ჯერ არ დამდგარა,—20 დეკემბერს, და 5) სოფლის იმ მამულებისა, რომელთა გირაოთიც გაცემულია მოკლე-ვადიანი სესხი და რომლის თავნი ვალის გადახდის ვადაც უკვე დადგა,—23 დეკემბ. ამ მამულების საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა წარმოდგენილ იქმნას ნაღდ ფულად გირაო, რომელიც უნდა უდრიდეს ბანკის სასარგებლოდ დარჩენილ გარდასახადებს, საქალაქო და საერობო გარდასახადებს და აგრეთვე პირვანდელის თავნი ვალის $10^0/_0$; ხოლო 14 დღის განმავლობაში ვაჭრობის შემდეგ გასტუმრებულ უნდა იქმნას დანარჩენი ვალიც. საჯარო ვაჭრობაში არ ჩავარდება ის მამულები, რომელთა პატრონებიც ვაჭრობის დაწყებამდე შეიტანენ ბანკის ხვედრ გარდასახადს. წელს წინა წლებზედ გაცილებით მეტი მამულებია გამოცხადებული საჯარო ვაჭრობით გასასყიდად.

*** **ბრმათა სამზრუნველო საბჭოს** კავკასიის განყოფილება გვთხოვს დავბეჭდოთ განყოფილების წევრთა საცნობელად, რომ კვირას, 28 ნოემბერს, შუადღის 1 საათზედ, ტფ. დედათა 1-ლ გიმნაზიის სააქტო დარბაზში (ზემო სართულში, შესასვლელი გიმნაზიის ეკკლესიის ეზოდან, ბარონის ქუჩით), დანიშნულია საგანგებო საზოგადო კრება სამზრუნველო საზოგადოების კავკასიის განყოფილების წევრთა.

*** **ნავთის გამყიდველთა აურ-ზაური.** მარგანეცის მრეწველთა საბჭოს ერთ წევრთაგანს მოხსენება შეუტანია საბჭოში, რომ საბჭომ დადგას ნავთის ქვაბები ჭიათურასა და ჭიქოურაში და თვითონ მიაწოდოს წვრილ მრეწველებს იაფ-ფასად ნავთი. რომ ეს სიმპატიური აზრია, ამას აღარ ეჭირვება ბევრი მტკიცება, მაგრამ ნავთის გამყიდველთ კი სხვანაირად ესმით. გაიგეს თუ არა ეს ამბავი, შექნეს ერთი აურ-ზაური: აქა-იქ იძახიან: «ვაი დედასა, ეს რომ მცოდნოდა, იმას მივცემდი თეთრ კენჭსაო»?! (ვითომ გამგეობის წევრს) და სხვა ამგვარებს.

*** **სოფ. ზემოხეთიდგან** (ოზ. მაზრა) გვატყობინებენ, რომ იქ ამ დღეებში ადგილობრივის მღვდლის მიტროფანე ა. ხუნდაძისათვის გადაუწვავთ სამზარეულო სახლი და ოდა. შარშანაც ამავე მღვდელს გადაუწვეს ერთი სრულიად ახალი ოდა, აგრეთვე წინა წლებშიაც.

*** **ქართული წარმოდგენა ახალციხეში.** კვირას, 21 ნოემბერს, ქ. ახალციხეში საქველმოქმედო აზრით გაუმართავთ ქართულ-რუსული წარმოდგენა. ქართულად წარმოუდგენიათ «ხანუმა», ა. ცაგარლისა. პიესას კარგად ჩაუვლია. შემოსავალი გადაუდვიათ წითელი ჯვრის საზოგადოების სასარგებლოდ. წარმოდგენის შემდეგ გაუმართავთ ცეკვა, რომელიც ნაშუაღამევის ორ საათამდე გაგრძელებულა.

*** **შოთა რუსთაველის დიდი სურათი.** ჩვენ მივიღეთ შოთა რუსთაველის ახალი, მშვენიერი, დიდის ფორმატის სურათი, ბრისტოლის ქაღალდზედ დაბეჭდილი. ასეთი დიდი სურათი ჯერ არ დაბეჭდილა რუსთაველისა. სურათს დართული აქვს ბოლოში ჩვენის საყვარელ მგოსნის აკაკის ლექსი: «სულ-მნათო, მადლი შენს გამჩენს!». სურათი მეტად იაფია, ჰღირს ათ შაურად. გამოცემულია წიგნის მაღაზიის «ცოდნა»-ს (სოსიკო მერკვილაძის) მიერ.

# საქართველო

## ფ ო თ ი.

ჭიჭყინა ვაჭარი.—კორესპონდენტის დევნა.—„შავი ზღვის მოამბე" ფოთში.—საყურადღებო საგანი.—ფოთის სამკითხველო.—ქართული ანდაზა.—ვინ არის დანაშაული?—ორი კაპეიკი ორ ბუბლიკს უდრის.

ყველაფერი საოცარი,—დაილოცა, ღმერთო, შენი სამართალი,—სწორედ ამ ფოთში გაჩნდება ხოლმე პირველათ. ამ საკვირველობას და სხვანაირობას ცხადათ გვი ვენებს ერთი აქაური ვაჭარი, რომელსაც მეტ სახელად «ჭიჭყინა ვაჭარს» ეძახიან, რომელიც ყველა მუშტარს უზრდელათ ექცევა. თუ ვინმემ გაჰბედა და რომელსამე საქონელს წუნი დასდო, სულ თავ-ბედს აწყევლინებს, ავარდება და დავარდება: თუ ყიდვა გინდა—იყიდე, ჩვენ დასაწუნი და ცუდი არაფერი გვაქვს, თუ არა და—«მარშ» აქედგანაო. ერთ მოსწავლე ქალს, რომელმაც ისეთი ფეხსაცმელი მოითხოვა, რომელიც მას არა ჰქონდა, ცხვირ-პირიდან სისხლი ადინა და ორი ბღუჯა თმა დააგლიჯა, როგორ გაბედე, ისეთი ფეხ-საცმელის მოთხოვა, რომელიც მე არა მაქვსო...

არც წევრათ არჩევის დროს ხმის მომატებაა ნაკლებ მოდაში; მაგალითად, ბ-ნმა «ბოთლიკოვმა» სამის ხმის მაგიერ ცხრა ხმა დაიწერა და ერთს დაწესებულების გამგეობის წევრთა სიაში ამოჰყო თავი—იმ დაწესებულების, სადაც კორესპონდენტი სიმართლით და ოფლის ღვრით ლუკმა-პურს შოულობდა. «ბოთლიკოვს» ეგონა: კორესპონდენტს გავაძევებ, საზრდოს მოუსპობ და ხალხსაც ვიხსნიო, მაგრამ იმედი გაუცრუვდა და საქმით რომ ვერას გახდა, ჭორების გავრცელებას მიჰყო ხელი: ხალხის მტერია ეგ ვიღაც «ახალგამოჩეკილი» კორესპონდენტი, უნდა ჩამოვაშოროთ, ან გავაქროთ, თორემ ერთს დღეს ყველას დაგვღუპავსო.

დაჩინდრიკებს ქუჩა-ქუჩა,
«ბოთლიკოვი» კუდა-მელა
და ბოთლები დარეცხის დროს
დასტეხ-დაამტვრია ყველა,
გაიბერა, პიჯაკ-პალტო
დაჰგმო და გადემტერა,
წამოისხა «პაპის პლაშჩი».
და ქუჩები აამტვერა.

«ბოთლიკოვს» სურვილი მაინც შეუსრულდა. ცოდვილმა კორესპონდენტმა შეატყო თუ არა იმ დაწესებულებას, რომელშიაც მსახურებდა, სისუსტე, თავი დაანება და «ბოთლიკოვი» დაღუპვას გადაარჩინა.

ყველაფერი კარგი, მაგრამ ესეც სათქმელია, რომ «შავი ზღვის მოამბეს» ფოთში აღმერთებენ: რათ გვინდა «ივერია», რა საჭიროა «ნოვოე ობოზრენიე», «ცნობის-ფურცელი» ან «ლისტოკი» და სხვანი. ვის ეკადრება სხვა გაზეთები, „ბზის ჯოხის" გაზეთია, რაც არისო! ამას ისიც ამტკიცებს, რომ სამკითხველოში არც ერთი გაზეთი არ მოიპოვება, გარდა «შავი ზღვის მოამბისა».

ფოთში, როგორც მკითხველებმა უკვე უწყიან, არსებობს «სამკითხველო». როდის დაარსებულა ეს სამკითხველო, არაფერი საყურადღებოა, მხოლოდ სასურველია ვიცოდეთ, ეს «სამკითხველო» მართლა სამკითხველოა, თუ მხოლოდ წიგნების და ჟურნალ-გაზეთების შესანახი შენობაა?... აქაური «სამკითხველო» სამკითხველო არ არის. აბა, სადა აქვს საწყალ ღარიბ ხალხს იმოდენა შეძლება, რომ აქაურ სამკითხველოთი ისარგებლოს? სად შეუძლიან ყოველ წლიურად 8 მანეთის გადახდა, ხუთი მანეთი საწევრო ფული და სამი საწინდარი. სამკითხველო სწორედ ამათთვის არის საჭირო და არა უკვე განათლებულ და «წარჩინებულ პირთათვის»; სამკითხველოთი არც თვით გაგებულნი სარგებლობენ. ხომ გაგიგონიათ ქართული ანდაზა: ავმა ძაღლმა თივა არც თვითონ სჭამა და არც სხვას დაანებაო». «ცის ზარი» კი გვისაყვედურებს:—სამკითხველოს ჩადრი აათარესო». მართალია ბ-ნო „ცის-ზარო", მაგრამ ვინ არის დამნაშავე? საწყალ და ღარიბ ხალხს შეძლება არა აქვს სამკითხველოთი ისარგებლოს, ხოლო ფოთის ინტელიგენცია და «ჩინოვნიკ-კაკარდოსნები» სამკითხველოს განა მიეკარებიან?! მეტყვიან: «ორი კაპეიკი ყველას მოეძევება ჯიბეში, ოღონდ სურვილი იყოს კითხვისაო.—მეც თანახმა ვარ, მაგრამ... მაგარიც არის, ის ეს ორი კაპეიკი სამკითხველოში რომ დასტოვოს, ბატონ «კუჭს» რით გასცენ პასუხი? მართალია, სულიერი საზრდო კარგია, მაგრამ თუ კუჭსაც არ ასაზრდოვებ, ძნელია... და ორ კაპეიკად კი ორ «ბუბლიკს» იყიდის და თავს დაიპურებს.

ნადველი.

## ქართული სიბრძნე.

ავთა კაცთა საუბარი კაცსა მეტად დააჭმუნვებს. (შ. რუსთაველი).

◆ გაუსინჯავსა სიტყვასა ჩხავილი სჯობან ტურისა. (ვახტანგ VI.

◆ ცოდვის უამესი ცოტას ხანს არა არის რა, ბოლოს კი სამსალა და საწყენია. (საბა-სულხან ორბელიანი.

◆ არც კაცი ვარგა, თუ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში, და სოფელს კი არა რა არგოს. (ნ. ბარათაშვილი).

◆ წარმატება და ბედნიერება ერისა მაინცა და მაინც არ ითხოვს საკუთარ სახელმწიფოს; მაგრამ საკუთარ თვით-მართველობას და ეროვნებას-კი ყოველთვის. (ი. გოგებაშვილი).

## ბ-ნ ნ ა დ ი კ ვ რ ე ლ ს

### ღია წერილის პასუხად.

(„ივერია" № 246).

აჩქარებულხართ, მეტის-მეტად აჩქარებულხართ, ბ-ნო ნადიკვრელო!

ნაწერი, რაკი დაიბეჭდება, საყოველთაო სამკვიდრებელს შეადგენს, და ყველას შეუძლია, რაც სურს, ისა სთქვას და სწეროს მაზედ; მხოლოდ ერთია საზოგადოდ მიღებული: ავტორს აცლიან სავსებით გამოსთქვას თავისი აზრი, დაასრულოს წერა არჩეულს საგანზედ. ეს როდია გამოგონილი მისი პატივცემისათვის,—ამას მოითხოვს საქმის, თვით ჭეშმარიტების ინტერესი. ნაწერი შეიძლება შესდგებოდეს მრავალის ნაწილებისაგან, ან როგორც ჩვენს შემთხვევაშია, საუბრებისაგან; მაგრამ ყველა ნაწილები შეადგენენ ერთს მრთელს და მჭიდროდ არიან შეკავშირებული, როგორც უკანასკნელთან ისე ურთიერთ შორის. ცალკე რომ ავიღოთ რომელიმე ნაწილი, შეიძლება ბევრი რამ გაუგებარი დარჩეს; მაგრამ, როცა მრთელს ნაწერს გავეცნობით, გაუგებრობასაც ბოლო მოეღება. პირველი ღირსება ნაწერისა ის არის, რომ პასუხს უნდა იძლეოდეს ყოველს შეკითხვაზედ, რომელიც კი შეიძლება მას დაედგინოს ავტორის მიერ არჩეულ საგნის საზღვრებში.

ჩვენ ავირჩიეთ საწერ საგნად «ჩვენი სასოფლო მეურნეობა» და ფორმად ნაწერისა საუბარი. ჯერ მხოლოდ მეორე საუბარი დაიბეჭდა («ივერია» № 235 და 236—1904 წ.). თქვენისავე თქმით, ჯერ ჩვენ არც შევხებივართ სასოფლო მეურნეობას, და მეორე საუბარში მხოლოდ ის არის ნათქვამი, რაც საფუძვლად დაედება სათქმელს. ჩვენის მხრით, თქვენს სიტყვებს ის უნდა დავსძინოთ, რომ ჯერჯერობით ისიც არ არის დასრულებული, რაც თქვენის სათქმელის საფუძვლად მიგაჩნიათ და, თუ მეტს არა, ერთ საუბარს მაინც მოინდომებს. მრთელს ნაწერს კი კიდევ დასჭირდება არა ნაკლებ ათის საუბრისა. თუ არ ეჭვად, თქვენ არავითარი ჩვენი აზრი ნაწერის საგანზედ არ იცით, არც ის იცით, რას, რა და როგორ დაედება საფუძვლად. ამგვარ გარემოებაში უკვე შესდგომიხართ მეორე საუბრის განხილვას, გიპოვიათ მრავალი გაუგებელი ადგილი და შეცდომები, აღგინუსხავთ ყოველივე ესე ექვს მუხლად და თხოულობთ ჩვენგან მათ გამამართლებელს მოსაზრებას და ფაქტებს, რათა განმარტოთ ჭეშმარიტება საყოველთაოდ გასაგებად და არა მისთვის, რომ რომელისამე განზრახვით პოლემიკა გამიწიოთ.

ამ თავითვე გადაჭრით უნდა მოგახსენოთ, რომ თქვენი მოთხოვნილება სრულიად უსაფუძვლოდ მიგვაჩნია და თქვენ მიერ განზრახულ წერაში არავითარს მონაწილეობას არ მივიღებთ. ჩვენ დავიწყეთ წერა ჩვენს სასოფლო მეურნეობაზედ საუბრით და, როგორც დავიწყია, ისე უნდა დავასრულოთ ნაწერი. თქვენ არ მოგწონთ ზოგიერთი ჩვენი აზრი, განსაკუთრებით თავად-აზნაურობაზედ, და განგიზრახავთ დასწეროთ ისტორიული გამორკვევა ამ საგანზედ, ერთხელ და «სამუდამოდ გამოარკვიოთ მისი საქმიანუსაქმიანობის შეწონებით, რა უფრო მეტი მოუტანია სამშობლოსთვის: ზარალი თუ სარგებლობა». საუცხოვო აზრია, მაგრამ ამ წერაში ჩვენ სრულიად არა ვართ საჭირო თქვენთვის, როგორც არა ვართ საჭირო ბ-ნთ თედ. ჟორდანიასა და თაყაიშვილისათვის, თუ ისინი ინებებენ და მართლა დასწერენ იმ საკითხზედ, რომელზედაც თქვენ მიგვითითებთ ღია წერილში. თუ ჩვენი ნაწერი თქვენთვის რაიმე ინტერესს წარმოადგენს, თქვენ ყველა თქვენი საკითხებით უნდა მიმართოთ ჩვენს ნაწერს, როდესაც იგი დასრულდება, და არა პირადად ჩვენ ეხლა, როდესაც ნაწერის საგანს ჯერ არც კი შევხებივართ. მაშინ დაინახავთ, რომ ბევრი რამ, დღეს გაუგებელი, სულ ადვილი გასაგები ყოფილა, და ზოგიერთი დღევანდელი თქვენი შეკითხვა, როგორც სრულიად უმნიშვნელო, შეკითხვადაც არ ღირებულა.

თქვენი ღია წერილი ასეა დასრულებული: «რაც შეეხება მიწის მფლობელობის უფლებას, ეს საკითხი უნდა განგვიმარტონ ქრონიკების შემადგენელთ, სხვათა შორის, ბ.ბ. თაყაიშვილმა და თ. ჟორდანიამ, რომელთაგანაც უკანასკნელს ამაზედ საკმაო მასალა აქვს შეკრებილი, როგორც მე პირადად მისგან გამიგონია. საჭიროა, რომ ქრონიკების შემადგენელთ გამოარკვიონ მიწის მფლობელობის უფლებასთან ბატონ-ყმობის დასაწყისი თავის მიზეზთა გარემოებით».

რას მოასწავებს იგავი ესე? ყოველსავე ამას რა უნდოდა ჩვენთან მოწერილ ღია წერილში? რა უნდა გეკითხათ, ან რა უნდა მოგეთხოვათ ჩვენგან? ერთი ვიფიქრეთ ჩვენ: რადგან ბ-ნთ ჟორდანიასა და თაყაიშვილს ქრონიკები შეუკრებიათ და მასალას ამზადებენ, რადგან ბ-ნ ჟორდანიას საკმაო მასალა აქვს შეკრებილი მიწის მფლობელობის შესახებ, როგორც თქვენ პირადად გაგიგონიათ მისგან, თქვენი აზრით, ამ საკითხზედ წერე, ბ-ნთ ჟორდანიასა და თაყაიშვილის საქმეა და ჩვენ არ უნდა შევხებოდით მეორე საუბარში. მართალი უნდა მოგახსენოთ, გაგვიგონია ანდაზა: «ძაღლი ვინც მოკლა, იმანვე გადაათრიოსო», მაგრამ ის კი არ გაგვიგონია, ვინც ისტორიისათვის მასალა შეკრიბა, ისტორიაც იმანვე დასწეროს და სხვა არავინ შეეხოსო.

ლუარსაბ ლოლუა.

პეტერბურგი, 14 ნოემბერი.

# რ უ ს ე თ ი

**პრივად-დოცენტის გოლდშტეინის საქმე.** შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე შუამდგომლობა აღძრეს იმის შესახებ, რომ დაბრუნებულ იქმნას არხანგელსკის გუბერნიაში ადმინისტრაციის წესით გაგზავნილი პეტერბურგის უნივერსიტეტის პრივად-დოცენტი მ. გოლდშტეინი, მაგრამ რადგან აღმოჩნდა, რომ გოლდშტეინი განსვენებულ მინისტრის ფონ-პლევეს განკარგულებით კი არ იყო გაგზავნილი, არამედ განსაკუთრებულ განკარგულებით, ამიტომ ეს შუამდგომლობა არ იქმნა შეწყნარებული. (რ. ვ.).

# ფ ე ლ ე ტ ო ნ ი

## ქართული საღამო იურიევში.

წელს აქაურმა სტუდენტებმა ორის წლის შესვენების შემდეგ, დიდის წვალებით და ჭაპანწყვეტით შვიდ ნოემბერს კიდევ მოვახერხეთ ქართულ საღამოს გამართვა. საქმის მეთაურთ ძალი და ღონე არ დაუზოგნიათ, რომ საღამო ყოველ მხრივ კარგი ყოფილიყო, და მართლაც, მათდა სანაქებოდ უნდა ვსთქვათ, რომ როგორც საღამოს დარბაზის მორთვა-მოწყობილებამ, ისე პროგრამმის სიმდიდრემ და სხვა და სხვაობამ ყველა აღტაცებაში მოიყვანა. დამსწრე თავს ბედნიერად სთვლიდა, რომ ასეთ რამეს დაესწრო, და ვინც არ იყო, დიდ მწუხარებას აცხადებს, რატომ იმ დღეს საღამოზე არ მოვედიო. ამბობენ: ასეთ მოწყობილ და შინაარსიან საღამოს, არა თუ იურიევში, სხვა დიდ ქალაქებშიაც ვერ ჰნახავთო. რომ ჩვენი ნათქვამი ლიტონ სიტყვებათ არავინ მიიჩნიოს, ვეცდებით გაკვრით მაინც აღვწეროთ ყოველივე. მართალია, ეს ცოტა შორს წაგვიყვანს და მკითხველს მეტს დროს წაართმევს, მაგრამ რა გაეწყობა, ახლავე ვითხოვთ მასთან ბოდიშს. დავიწყოთ საღამოს დარბაზის მორთულობიდამ.

აგერ შებრძანდით შენობაში და გინდათ კიბე აიაროთ, რომ დარბაზში შეხვიდეთ, მაგრამ აქ თქვენს ყურადღებას იპყრობს კარდონზე დიდის ხელოვნებით ნახშირით ნახატი სურამის გვირაბის სურათი, რომელიც კიბის ძირიდან მაღლა კედლამდი აღმართულა და თქვენც ჩერდებით. იქვე ჰხედავთ ორს სტუდენტს, ნაბდებში, ბუხრის ქუდებსა და ყაბალახში გამოწყობილთ, რომელთაც ბეჭზედ ბერდანის თოფები გაუდევთ და გვირაბის შესავალს ჰყარაულობენ. გაგიშვებ იმათ და თქვენც იწყებთ კიბეზე ასვლა. კიბე ორი მხრიდან დაფარულია ნაძვის ტოტებით, წინ კედელზე ჩამოკიდებულია ტილოზე ხელით ნახატი საქართველოს სამხედრო გზა: ვეებერთელა ფიწალო კლდენი საშიშრად გადმოწოლილნი და თითქმის ჩამოსაქცევად წამოზიდულნი, მათ ქვეშ მიხვეულ-მოხვეული გზა და ძირს კი ვიწრო, კლდეებში მარად მქუხარე და მძვინვარე აღქაფებული თერგი. სურათს გვერდში უდგია ბოტანიკურ ბაღიდგან მოტანილი ნაძვის ხეები და მათში ერთ მხრიდგან გამოსჩანს კისერ-წაწვდილი ირემი *), რომელნიც თითქოს ეს-ეს არის თავის საფარიდგან გამოსულან, წმინდა ჰაერს ისუნთქავს და ნებივრად იზმორებაო; მეორე მხრით კი პატარა დათვის ბელია. ასცილდით კიბეს და ფეხი შესდგით პირველს ოთახში, სადაც ერთს კუთხეში ხეებ შორის უკანა ფეხებზე შემდგარა უშველებელი დათვი, წინა ფეხები მაღლა აუწევია, თითქოს ვინმეს უნდა ტორი დაჰკრასო, მაგრამ ხელში ჯამი მიუციათ და იგი მაგრათ ჩაუბღუჯავს. მეორე კუთხეში კი სდგას ჩვენებური დუქანი დამტვრეულ რუსულის ზედ წარწერით: Ходы на мой лавка, здѣсъ таргуитъ честнiй лавочникъ Ладо, ამან საზოგადოება ბევრი აცინა. ამ დუქანში იყიდებოდა კახური ღვინო, ჩვენებური მწვადები, ხაჭაპურები, საცივი და სხვა ჩვენს გემოზე გაკეთებული საჭმელები. ამ ოთახს შემდეგ თქვენ შედიხართ მეორე უფრო დიდ ოთახში, სადაც ხისგან გაკეთებულია დიდი შამპანურის ბოთლი, ღვინით მჩქეფარე შადრევანი, ბუჩქებ-ბალახებში გაწოლილი ვეფხვი, დაფნის მშვენიერი ხეები და მათში სხვა და სხვა ცხოველები და ფრინველები იქცევენ თქვენს ყურადღებას, ბუფეტის ოთახებს შემდეგ შებრძანდით უმთავრესს დარბაზში და აქ თქვენ სულ სხვა სურათი გხვდებათ: დარბაზის კედლები მოფენილია ჩვენებური ხალებით, მათზე მიკრულია ჩვენებური ხმლები, და მათ ზევით ცოცხალ-მცენარეების ხვეულებში ჩასმული ჩვენი მწერლები: ილია, აკაკი, ყაზბეგი, გიორგი წერეთელი, რ. ერისთავი, ნ. ნიკოლაძე, ეგ. ნინოშვილი, უკვდავი შოთა და მისგან თამარიხადმი ვეფხის-ტყაოსნის მირთმევა, და ცალკე ლენტებით და ვარდებით მორთული დიდებულის თამარის სურათი. თვითეულ სურათს თავზე გაკეთებული ჰქონდა კავკასიის ქალაქების გერბები და მათ ზევით ჩვენი ნაციონალური პატარ-პატარა დროშები **), და სულ ზევით კი მცენარეების ხვეულები. ასე რომ კარგი დამკვირვებელი აქ ბევრს რამეს შეამჩნევდა და ბევრ საგულისხმიერო რასმესაც გაიგებდა.

ახლა განვიხილოთ თვით საღამოს პროგრამმაც. როცა საღამოს გამართვა დავიწყეთ, ნება-რთვა გამოვიტანეთ, მაგრამ საღამოს შემდეგ მრავალ-წამებულ პორტ-არტურისა გამო ცეკვის ნებას არ გვაძლევდნენ. ამიტომ, რომ საზოგადოება გულდაწყვეტილი არ გაგვეშვა, ვარჩიეთ, ჩვენ სიმღერებსა და ცოცხალ სურათებს გარდა, რამე პიესაც დაგვედგა; ვარჩიეთ, ვითათბირეთ, მაგრამ ქართულ ცხოვრების შესახები ვერაფერი ვერ ვნახეთ ისეთი რამ, რუსულად ნათარგმნი, რომ მისი წარმოდგენა ამ ჟამად შესაძლებელი ყოფილიყოს; ამიტომ მივმართეთ თხოვნით აქაურ სტუდენტების დრამატიულ დასს, რომ დახმარება გაეწიათ ჩვენთვის; მათ თანხმობა გამოგვიცხადეს და თანვე პიესაც წარმოგვიდგინეს; ეს იყო აქაურივე სტუდენტის ერთ-მოქმედებიანი კომედია-ვოდევილი: «Охъ, тяжела ты ша-

*) ესეც და სხვა ცხოველების და ფრინველების გამხმარი ტყავები (чучела) უნივერსიტეტის ზოოლოგიურ მუზეუმიდგან გვქონდა მოტანილი.

**) საღამოს გამართვის დროს ერთი საინტერესო კითხვა დაგვებადა: რა ფერია ჩვენი ნაციონალური ფერი და რა ფერისა იყო ჩვენი დროშები. ბევრს გვეგონა, რომ ჩვენი ნაციონალური ფერი წითელი იყო, მაგრამ რადგან სხვა და სხვა მოსაზრებისა გამო წითელ დროშებს ვერ გამოვკიდებდით, ამიტომ ავიღეთ თეთრი, ყვითელი და შავი, მივაკერეთ ერთმანეთსა და ნაციონალურ ფერათ გავასაღეთ. დიდად დაგვავალებს პატივცემული რედაქცია, თუ გაგვიმარტავს, რომ შემდეგისათვის მაინც ვიცოდეთ ესა და ყოველთვის სახტათ არ დავრჩეთ.

ბეჭდვითი საქმის შესახებ არსებულ კანონებზედ ლექციის წაკითხვა. 19 ნოემბერს ტენიშევის სასწავლებლის დარბაზში უნდა წაეკითხათ ლექციები ბეჭდვითი სიტყვის შესახებ აწ არსებულ კანონების გადასინჯვის საჭიროებაზედ. საღამოზედ დარბაზს რამდენიმე ათასი კაცი მოაწყდა. იქაურობა ისე იყო გაჭედილი, რომ ერთმა მომხსენებელთაგანმა, გესენმა, მხოლოდ ერთის საათის შემდეგ გაარღვია ხალხის გუნდი და დარბაზში შევიდა. კრების თავმჯდომარემ კუზმინ-კარავაევმა გარედ მდგომ საზოგადოების დასამშვიდებლად რამდენჯერმე გამოაცხადა, რომ ლექცია განმეორებულ იქნებაო. ბოლოს რის ვაივაგლახით ბჭობა დაიწყეს. კ. არსენიევმა თავის მოხსენება წაიკითხა. მას შემდეგ მოხსენების კითხვა დაიწყო პროფესორმა სვეშნიკოვმა. 15—20 წუთის შემდეგ დარბაზში სასწავლებლის დირექტორი ოსტროგორსკი შემოვიდა და კუზმინ-კარავაევს რაღაც ჩუმად შეატყობინა. კუზმინ-კარავაევმა საზოგადოებას გამოუცხადა, რომ რადგან გარედ მდგომი საზოგადოება ღელავს, ბჭობა უნდა მოვსპოთო. სანამ ამას გამოაცხადებდნენ, ზალაში პეტერბურგის გრადონაჩალნიკი გენ.-ადიუტ. ფულონი შემოვიდა და საზოგადოებას ამშვიდებდა. შემდეგ საზოგადოებამ ყვირილი დაიწყო. ზოგი ყვიროდა, კრება მოსპეთო, ზოგიც ყვიროდა, კრება განაგრძეთო. კრება მოსპეს, საზოგადოება დაიშალა. ქუჩაში ბევრი ცხენიანი და ქვეითა პოლიციელი იდგა, მაგრამ უწესოება არ მომხდარა. (რ. ვ.).

# უცხოეთი

**საფრანგეთი.** ამას წინად პარიჟში კონდორსეს ლიცეის პროფესორმა ტალამასმა ცუდათ მოიხსენია საფრანგეთის განთქმული გმირი ქალი ჟანნა დ'არკი. ამან ნაციონალისტები და კლერიკალები, რასაკვირველია, ააღელვა, ააშფოთა და გააბრაზა. საერო განათლების მინისტრმა პროფესორ ტალამასუს საქციელი გაჰკიცხა და თავის საყვედურიც გამოუცხადა. ამ ამბის შესახებ დეპუტატთა პალატაში ერთმა სოციალისტმა დეპუტატმა კამათიც აღძრა და მინისტრის საქციელი დაჰგმო. კონდორსეს ლიცეის მოსწავლეთა ერთმა წრემ, რომელიც ნაციონალისტთა და კლერიკალთა გუნდს შეადგენდა, პროფესორს ტალამასუს დემონსტრაცია მოუხდინა, ჟანნა დ'არკის ძეგლის წინ კი მანიფესტაცია გაჰმართა. ამის შესახებ განთქმულმა სოციალისტმა ჟორესმა თავის გაზეთ «ჰუმანიტე»-ში წერილი დაბეჭდა, რომელიც შემდეგის სიტყვებით დაამთავრა: «ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ დერულედი უეჭველად დეპეშას გამოგვიგზავნის». მართლაცა და, მეორე თუ მესამე დღეს, «ნოვოე ვრემია»-ს კორესპონდენტის სიტყვით, დერულედმა დეპეშა გამოგზავნა, რომელშიაც ნათქვამი იყო: «ჟორესო, მე თქვენ ზნეობის წამბილწველ კაცად მიმაჩნიხართ; თქვენ საფრანგეთის მტრებს შველით. თქვენ თქვენის პოლიტიკით ვერ მოიგებთ გერმანელების გულს, რომელთა სასარგებლოდაც ჩვენს ძმებს, ელზას-ლოტარინგიელებს ზურგს აქცევთ». ჟორესმა დერულედს პასუხი დეპეშითვე გასცა. ჟორესი ატყობინებდა, რომ იგი (ჟორესი) დეპუტატს დევილსა და ლიონის მერს ოგანიერს თავის სეკუნდანტებად ნიშნავს. ამბობენ, დუელი ესპანიის საზღვარზე მოხდებაო. ამ ამბავს «ნოვოე ვრემია»-ს კორესპონდენტი დეპეშით იუწყება. მას შემდეგ აგერ თითქმის ერთი კვირა გავიდა და ამ საქმის შესახებ ჯერ არაფერი ისმის. თუ რამე მოხდა, დეპეშა, უეჭველია, აქამდის შეგვატყობინებდა რასმე.

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

ჩვენი ძველი ნაცნობი გრ. სტარცევი მოგვითხრობს გაზ. „Нов.“-ში, რომ ევროპიელებს ძრიელ არ ვესიამოვნებით რუსებიო. რას არ ამბობენ ჩვენზედ, არ გაგონილა და არ თქმულაო. ამბობენ, ვითომ ჩვენი ჯარის-კაცნი ჰხოცავენ მტრებს და იმათ სისხლსა სმენ; ვითომ ქონის სანთელსა ვსჭამთ და სამოვრის ნატეხებს ვკვნეტავთ; ვითომ ჩვენის ქალაქების ქუჩებში დიდი დათვები დასეირნობენო და სხვა.

«გამეცინება ხოლმე, ამისთანები რომ მომაგონდება.

სასაცილოც-კია, ღვთის-წინაშე, მაგრამ გფიქრობ, რა არის მიზეზი, რომ ასე არ ვუყვარვართ დასავლეთ ევროპაში? რად ეგებებიან ასეთის სიხარულით ყოველსავე ჩვენს ავს? რად გვიცქერიან აქამდე კიდევ, როგორც ბარბაროსებს, აზიატებს?

მე მითხრეს: ეგ იმიტომ, რომ შურთ ჩვენი სიკეთე, ეშინიანთ ჩვენიო. ჰგრძნობენ, რომ იმათი ფესვები მოშპალია, ჩვენში-კი ხალხი ახალია, ჯან-ღონით სავსე. ძილი არა აქვთ ევროპაში, ჩინს წარმატებას რომ ჰხედავენო.

არა მგონია, ასე იყოს. მომაგონდა შჩედრინის სათქმი, მშვენიერი პატარა სცენა. რუსის ბიჭი უშაღვრო გამოვარდა და დადგა წუმპეში სადღაც სამზღვარგარედ და თან თითით ცხვირს იგრტნიდა. გერმანელმა სუფთად ჩაცმულმა ბიჭმა დაინახა და გაუოცდა. დაიწყეს მუსაიფი.

— მართლა გრიზგავენ?

— გვრიზგავენ და აგრე?...

გერმანელი ბავშვი შეწუხებული აქნევს თავს, ოჰ, ეგ როგორ შეიძლებაო.

უშარვლო ბიჭი მაგარ-მაგარ სიტყვებს ისვრის, სულ შიგნიტიკურებს.

— ოჰ, რუსის ბიჭო, რა ცუდს სიტყვებს ამბობ, გაგონილა?!

გერმანელი ბავშვი აღშფოთებულია.

— აჰა, აი შეგაჭამე ესა!—ათავებს მუსაიფს უშარვლო ბიჭი და უჩვენებს სამის თითისაგან გაკეთებულს ფიგურას,..

მგონია, რომ ეს პატარა სცენა უფრო ნათლად არკვევს, რად არ მოვწონვართ ევროპას.

განა ჩვენ ის შჩედრინის ბიჭი არა ვართ დღესაც?

სუფთა, ზრდილობიანი, წესიერი ევროპა, კოხტად ჩაცმულ-დახურული და გვერდზედ ჭუჭყიანი, ტუტუიანი მეზობელი ბიჭი, თმა-დაუვარცხნელი და... თან უშარვლოც... დგას წუმპეში და თავ-მომწონედ ტრაბახობს, მროზგავენ და ძალიანაცაო.

ევროპა უხერხულად ჰგრძნობს თავს ასეთის მეზობლობის გამო, შეურაცხყოფილია და რუსის ბიჭი-კი უჩვენებს სამის თითისაგან გაკეთებულს ფიგურას.

— ფუი!—იდრიჯება სუფთა, ზრდილი ევროპა:—რა უმზგავსობააო!...

# თეატრი და ხელოვნება

**მეექვსე ქართული წარმოდგენა.** ვერც ჩვენის ნიჭიერის მსახიობის ვ. აბაშიძის ბენეფისმა დასძლია საზოგადოების გულგრილობას: ოთხშაბათს, 24 ნოემბერს, თეატრში ბევრი ადგილი იყო ცარიელი და არც კვლავინდებური ოვაცია სჩანდა ბენეფიციანტის მიმართ. მაგრამ ესეც კი უნდა სთქვას კაცმა, რომ ოთხშაბათს ბენეფიციანტად ჩაითვლებოდა ყველა, ვ. აბაშიძის გარდა, რომელმაც, არ ვიცით, რა მოსაზრებით, ისეთი პიესა აირჩია თავის სადღესასწაულო წარმოდგენისათვის, საცა თითქმის ყველაზედ ნაკლები და უფერული როლი აქვს, საცა მაყურებელი მოკლებულია სიამოვნებას მსახიობის ნიჭიერის და ხელოვნურის თამაშობით დასტკბეს.

საერთოდ თვითონ პიესა «მეუღლენი», რომელიც ეკუთვნის ნიჭიერ კალამს გ. სუნდუკიანცისას, ბევრით სუსტია ავტორის წინანდელ ნაწარმოებზედ: «პეპოზედ», «ხათაბალაზედ», «დაქცეულ ოჯახზედ» და სხვა.

კომედიაში თუმცა საყრადღებო საგანია აღძრული, თანამედროვე ცხოვრებიდან აღებული, მაგრამ იგი პიესაში სუსტად არის შემუშავებული და მთელის ხუთმოქმედების სიგრძეზედ გაჭიანურებულია მეტად მარტივი ამბავი: არკადი სამსონიანს (ვ. გუნია), გარყვნილს და გაცვეთილ «აღმატებულებას», მეტად სათნო და პატიოსანი ცოლი ჰყავს, მარგარიტა (ნ. ჩხეიძე). ცოლ-ქმარნი ერთმანეთში ვერ რიგდებიან და ბოლოს მარგარიტა, მოთმინებიდან გამოსული, თავის სიყმაწვილის მეგობრის არტაშესის (ს. სვიმონიძე) დახმარებით, რომელიც მარგარიტას მფარველ ანგელოზად გამოუჩნდება, მიატოვებს ქმრის სახლს და თავისუფლების მოლოდინში ცხოვრობს ცალკე. ის ემდურება საზოგადოებას, და ეს, მგონი, თვით პიესის დედა-აზრიც უნდა იყოს; საზოგადოება თვითონ არის მიზეზი მისის და ათასის მის მსგავსის ასეთის დატანჯულ მდგომარეობისაო.

ალაგ-ალაგ პიესაში შეგხვდებათ ცოცხალი მომენტებიც; მაგ., მეორე მოქმედებაში მარგარიტას და არკადის ოჯახური «სცენა» საკმაო ხელოვნებითაა დასურათებული, მაგრამ ეს, ასე ვთქვათ, პატარა ოაზისებია იმ ვეებერთელა უდაბნოში, რომელსაც წარმოადგენს ეს ახალი პიესა.

პიესამ არ მისცა ღონისძიება, როგორც თვით მობენეფისეს, ისე დანარჩენ მოთამაშეთაც, გამოეჩინათ თავისი ძალ-ღონე და ხელოვნური რამ შეექმნათ, მაგრამ მაინც ნ. ჩხეიძე, ვ. აბაშიძე (აბელ მასტიკიანი), ვ. გუნია, სვიმონიძე, ლეჟავა და სხვ. კარგები იყვნენ და, რაც უფრო გასაკვირველია,—ზოგიერთთათვის მაინც, როლებიც ჩინებულად იცოდნენ.

კომედიის შემდეგ ითამაშეს განსვენებულის პ. უმიკაშვილის ვოდევილი «ბენეფისის წინ», საცა ჩვენმა მსახიობებმა (უგრიმოდ) ბევრი ილაპარაკეს თავის გაჭირვებულ მდგომარეობაზედ; ბევრი სიმართლე უთხრეს პირში საზოგადოებას, ბევრი მათრახი გადაჰკრეს, «ოტსტავნოი» გენერლის სახით, ჩვენს არისტოკრატიას, მაგრამ ვეჭობთ, რომ ამითი სხირტლაძის ბაღს რაიმე ზიანი მოუვიდეს, და ქართულ თეატრს—სარგებლობა. ვეჭვობთ, ამითი ქართველი მაყურებელი მოჰკვიანდეს, პიესაში გამოყვანილ ყმაწვილ კაცის მზგავსად არ შეუკურთხოს თეატრს— „къ чорту театръ“-ო!..

მობენეფისეს რამდენიმე საჩუქარი მიართვეს.

—

**ქართული საღამო ჟენევაში.** 19 ნოემბერს, აქაურის ქართველების თაოსნობით გაიმართა მეორე ქართული საღამო (პირველი იყო 20 თებერვალს). ლაზათისა და შინაარსის მხრივ ეს საღამო გაცილებით სჯობდა პირველს, თუმცა მომღერალთა გუნდი, რომელმაც პირველ საღამოს საკმაოდ ბევრი ხალხი მოიზიდა, ახლა აღარ იყო; გარდა ამისა, ლეკურის მოცეკვავედ ამ საღამოს მარტო ქალი გამოვიდა, მაშინ, როდესაც პირველ საღამოს ვაჟიც იყო მოცეკვავე.

სცენაზე დასადგმელად არჩეულ იქმნა ყაზბეგის სამ-მოქმედებიანი დრამა «არსენა». რადგანაც დამსწრედ მომეტებულად ფრანგი და რუსი საზოგადოება იქმნებოდა, გადავწყვიტეთ პიესა გადაგვეთარგმნა რუსულ ენაზე, რაიცა თავს იდვა და კიდეც შეასრულა ბ. ვირსალაძემ. თავი და თავი გასაჭირი ახლა ტანისამოსის უქონლობა იყო და ამ მხრით ძალიან კოჭლობდა წარმოდგენა. ნამდვილი შესაფერი ტანისამოსი მხოლოდ იორამს (ქულაჯა) და არსენას (ჩოხა-ახალუხი) ჰქონდა; სხვები მომეტებულ ნაწილათ ნაბდებში იყვნენ გახვეულნი და მით ფარავდენ სრულიად შეუსაბამო შიგნით ტანსაცმელს. ქალებს-კი ამ მხრივ ვერავინ დაემდურებოდა, რადგან, მაგ., სიდონიას საუცხოვო ქართული კაბა ამშვენებდა და თავმაღლა მორთული ნამდვილ ქართველ ქალის ტიპს გვისურათებდა.

როგორც პიესის შინაარსმა, ისე მოთამაშეებმაც საზოგადოება საკმაოდ დააკმაყოფილა, თუმცა, მართალი უნდა ვთქვათ, საუკეთესო ადგილები ვერ იქმნა სასურველად შესრულებული და საბოლოვოთ წარმოდგენამ ისეთი შთაბეჭდილება ველარ მოახდინა, როგორც დასაწყისში იყო მოსალოდნელი.

შემდეგ დადგმულ იქმნა ცოცხალი სურათები ლერმონტოვის დემონიდან. ეს კი სულ აღარას ჰგვანდა. ბენგალის ცეცხლით განათების ნება არ დაგვრთეს და უმისოთ კი რა უნდა ყოფილიყო თავისთავად უხეირო სურათები! საზოგადოება ამ სურათებს თავ-შეუკავებელის სიცილით მიეგება.

გაიმართა ლეკური. ქ. მუსხელაშვილის ხელოვნურმა ცეკვამ აღტაცებაში მოიყვანა ფრანგი და რუსი საზოგადოება, თუმცა შეუმჩნეველი არ დარჩა, რომ ვაჟიც რომ ყოფილიყო, უკეთესი იქნებოდაო. ნადიმის დროს რუსულს და ებრაულს გარდა მღეროდნენ ქართულად და სომხურად. საზოგადოება საერთოდ კმაყოფილი დარჩა საღამოთი.

## „ივერიის ფოსტა“

**ო-ლხ. პ. ა-ძეს.** თქვენი „ეშმაკის წერილი“ არ დაიბეჭდება. მაგ საგანზედ დაწერილს შეუძლებელია ადგილი დაეთმოს გაზეთში.

**სე-ონ ზენოზნიელს.** თქვენი ლექსი „აკაკის“ არ დაიბეჭდება.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

## დილის დეპეშები.

### 24 ნოემბერი.

**ტოკიო,** 24 ნოემბერი (რეიტერი). იაპონიის საზღვაო არტილერიის უფროსი დეპეშით იუწყება: „გუშინ ადგილის დასაზვერად 203 მეტრიან გორაზე ავედი, დღეს შუშინთან გორაზე ავედი, რათა გუშინ მომხდარ ზარბაზნების სროლის შედეგი გამომერკვია. ჩვენ ყოველ დღე ზარბაზნებს ვესვრით რუსეთის ფლოტს, რომელიც ბეიშანის სამხრეთით სდგას. ამ პოზიციიდგან მოსჩანდა მხოლოდ „პობედასი“, „რეტვიზან“-ისა და «პალადას» მაღალი ანძები და ბუხრები, მაგრამ გემების რაოდენობა ვერ გამოვარკვიე. ჩვენის გემების საზღვაო ბატარეიებიდგან გასროლილი ყუმბარები რუსების გემებს ხვდებოდა. ეს იქიდგანა სჩანდა, რომ ჩვენი ყუაბარები სწორედ იქ სკდებოდა სადაც რუსების გემები იდგნენ. რადგან გემები გორას იქითაა მიფარებულნი, ამიტომ ჩვენ ვერ გავიგეთ, რომელი გემები დავუზიანეთ რუსებს. გუშინდელ სროლის შედეგი იაპონიის ჯარს აღფრთოვანებს და მათ მეცადინეობას აორკეცებს.

**ბელგრადი,** 24 ნოემბერი. გრუიჩმა კაბინეტი შეადგინა. მინისტრ-პრეზიდენტად გრუიჩი იქნება, გარეშე საქმეთა—პაშიჩი, შინაგან საქმეთა—პროტიჩი, ფინანსთა—პაშუ, საერო განათლებისა—ნიკოლიჩი, სამხედრო—პუტნიკი და სამიწად მოქმედო—რადოვანოვიჩი.

**ლონდონი.** (რეიტერი) «ტაიმსი» იუწყება, რომ ქვანახშირი იგზავნება კიდევ რუსეთშიო. აგვისტოში წავიდა 60,000 ტონით დატვირთული 10 გემი, სეკდემბერში 12 გემი 50,000 ტონით, ნოემბერში 8 გემი 30,000 ტონით. აგვისტოსა და სეკდემბერშიაც წავიდნენ გემები და შეუერთდნენ ბალტიის ესკადრას. ამათთან ერთად წავიდნენ გემები ქვანახშირით, რომელიც რუსების ნაყიდი იყო. ვითომ მანილეს წავიდნენო და ზოგნი კი მივიდნენ ვლადივოსტოკს. ამ ბოლოსაც შეუკვეთეს რუსებმა ქვა-ნახშირი ინგლისელებს. ქვა-ნახშირი უზრუნველ ჰყოფს რუსეთის ფლოტს მარტამდე.

**სტოკჰოლმი** შეწყნარებულ იქმნა გარეშე საქმეთა მინისტრის ქაღალდი სამსახურიდან გადაგომისა.

**მუკდენი,** 24 ნოემბერი. (რეიტ.). გუ-

пка Мономаха», გვარიანად და ენაწყლიანად დაწერილი. ჩვენც დავთანხმდით, მით უფრო, რომ პიესა პირველად იდგმებოდა და ავტორიც მონაწილეობას იღებდა. შემდეგში თუმცა ცეკვის ნება მოგვცეს, მაგრამ უხერხულათ დავინახეთ პიესის გამოტოვება, და გვარიან კარგადაც წარმოადგინეს. პიესის შემდეგ იყო ცოცხალი სურათი: «მიჯაჭვული ამირანი». წარმოიდგინეთ უზარ-მაზარი კავკასიონის მთები, თოვლით დაფარული მაღალი მწვერვალები, მათ შორის განმარტოებით მდგარი ერთი მთა და იმაზედ მიჯაჭვული, გულ-გაღეღილი და დროთა ვითარებისა გამო ბალან-მოსილი და მზისა და წვიმისაგან შელანძული ამირანი, რომელსაც გაუმაძღარი არწივი დაჰფრენია და ხორცსა ჰგლეჯავს. სურათს თან დართული ჰქონდა ჩაიკოვსკის „Таинственная мелодія“, მუსიკა მართლაც რომ მისადგომი და შესაბამი ამ მომენტისა. ამ მუსიკაში ისმოდა რაღაც დიდებული და მიუწვდომელი რამ ოხვრა, კვნესა, მწუხარება, ჩივილი, საყვედური, ტანჯვა, მაგრამ თანვე სასოება და გულ-გაუტეხელობა. ამ სურათმა და მუსიკამ ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა საზოგადოებაზე, რომ მის მეტიც რომ არაფერი გვქონოდა, არ დაგვემდურებოდა. სურათს შემდეგ დაიწყო სიმღერები: «შევსვათ წითელი», «პატარა საყვარელო», «ლილე» და «ჩემო ია», ბ-ნ ბალანჩივაძის გადაღებული, «გულნრა» ბ-ნ კლენოვსკისა და ორი სოლო რუსული. ამას შემდეგ კიდევ ცოცხალი სურათი ალილო. (მეალილოები). და მერმე ისევ სიმღერები «მერცხალი» და «რერო» ბ-ნ კლენოვსკისა, „ფაცხა“ ბ. ბალანჩივაძისა და «ვახტანგ მეფე»—ქართული მარში, სტუდ. კ. ფოცხვერაშვილისა. ამას შემდეგ იმღერა პეტერბურგიდამ მოწვეულმა ქ-მა აბრამიანმა, რომელმაც საზოგადოება მოხიბლა და აღტაცებაში მოიყვანა ჯერ მშვენიერი სიმღერით და მერე მოხდენილი და აზროვანი ლეკურის ცეკვით. იმღერა აგრეთვე სტუდ. დოლონაძემ, რომელიც ქ. აბრამიანთან ერთად პეტერბურგიდამ იყო მოწვეული, და ბოლოს გაიმართა ცოცხალი სურათი. ქართული ლხინი ქორწილის დროს და ზედ მოჰყვა «ლეკური», გოგონა და ტაშფანდური...

საზოგადოება საღამოს იმდენი მოაწყდა, რამდენიც იურიევში ჯერ არავის არ ახსოვს, ბევრი უბილეთობისა გამო უკან დაბრუნდა. ესეც ერთი დამამტკიცებელი საბუთი მისი, რომ ქართული საღამო აქაურ საზოგადოებას აკმაყოფილებს და ინტერესს უღვიძებს. ცეკვამ დილის შვიდ საათამდის გასტანა... ზოგი რვა საათზედაც იქვე იყო...

საღამოზედ უკრავდა სტუდენტების ორკესტრი. ორკესტრს და ხოროს მეთაურობდა სტუდ. კ. ფოცხვერაშვილი. აი ამ ფოცხვერაშვილის შესახებ გვინდა ორიოდე სიტყვა ვსთქვათ აქა. ჩვენ საზოგადოებას კარგად ეხსომება, რომ შარშან მან (ფოცხვერაშვილმა) ქუთაისში ორი კონცერტი გამართა, შრომა და ჯაფა არ დაზოგა, დაბრკოლებეს არ შეუშინდა და საქმე კარგად მოაწყო და მოაგვარა. ისიც ყველას კარგად ეცოდინება, რომ ორკესტრის და ხოროს შეთანხმება და ერთად ქართული სიმღერების მღერა პირველი შემთხვევა იყო ჩვენში. ბ. ფოცხვერაშვილმა პირველმა იკისრა ეს ძნელი საქმე და სანაქებოთ შეასრულა. მაშინ ნებით იყო თუ უნებლიეთ ჩვენმა საზოგადოებამ და მათში ქართული გალობის მცოდნეთ არაფერი ყურადღება არ მიაქციეს ამას და ჩვენს გაზეთებში კრინტიც არ დასძრეს, არც კარგი თქვეს და არც ავი, თითქოს არც კი რამე მომხდარიყოს. მხოლოდ ერთის თვის შემდეგ ბ. ვარობჩელმა, ასეთი დუმილით მოთმინებიდამ გამოსულმა, აიღო ხელში კალამი და «ივერიის» ფურცლებზედ საზოგადოებას სამართლიანათ უსაყვედურა ასეთი გულგრილობა და დაუდევრობა. ავტორი სამართლიანათ ამბობდა, რომ სტუდ. ფოცხვერაშვილი ჩვენი საზოგადოებისაგან მეტის ყურადღების ღირსია და, როგორც ღარიბი—დიდი დახმარებისაცაო. მაგრამ მისი წერილიც ჩვეულებრისამებრ უყურადღებოთ იქმნა დატოვებული. გავიდა აგერ ერთი წელიწადი და ბ. ფოცხვერაშვილი იურიევის ქართულ საღამოზედ კიდევ გვეჩვენა და დაგვიმტკიცა, რომ, არა თუ სხვის გაკეთებული მოხმარების უნარი აქვს, არამედ თვითონაც დიდის შემოქმედების ნიჭით არის აღჭურვილი, მისმა «ვახტანგ-მეფე» — სიმღერამ, რომელიც ჩვენში ყურადღების ღირსიც ვერ გახდა, აქ აღტაცებაში მოიყვანა დამსწრე საზოგადოება (ეს საზოგადოება, ვსთქვათ, შედარებით ერთობ კარგი მუსიკის მცოდნეა). სიმღერა ექვსჯერ ზედი-ზედ გაამეორებინეს. ტაშის ცემას და ავტორის გამოწვევას საზღვარი არა ჰქონდა. ავტორი ხელში აყვანილი დაჰყავდათ. ასე დააფასა აქაურმა საზოგადოებამ ნიჭიერი ახალგაზდა კომპოზიტორი, ის კომპოზიტორი, რომელსაც ჩვენში გვერდი აუარეს და რომელიც ერთობ ბევრს შრომობს ჩვენის ეროვნების სახელისათვის... ხშირად ამ ყმაწვილს ფული არა აქვს, რომ ნოტის ქაღალდი იყიდოს, ან კვირაში ორი სამი დღე მშიერ-მწყურვალი არ იჯდეს.. ცოდვა არ არის, რომ ბევრ მუქთა-ხორა სტუდენტებს, რომელნიც ბანქო-ბილიარდის თამაშისა და ქალების კუდში დევნის მეტს არაფერს აკეთებენ, ჩვენებური ქველ-მოქმედებისაგან სტიპენდიები ჰქონდეთ დანიშნული და ეს კი ასე იყოს?! ცოდვა კი არის, მაგრამ მათ ყოვლის შემძლე პროტეკცია სწყალობთ და ამას კი არა... დრომა გამოვილვიძოთ..

დაბოლოს არ შემიძლიან დიდი მადლობით არ მოვიხსენიო ქ-ნი აბრამიანი, რომელიც პეტერბურგიდამ უსასყიდლოდ ჩამოვიდა აქა და ჩვენს საღამოს ელფერი და მშვენიერება მიუმატა. მადლობის ღირსია აგრეთვე მასთან პეტერბურგიდანვე ჩამოსული სტუდენტი დოლონაძე და აქაური პროფესორი ოზე, რომელმაც უარი არ გვითხრა და მთავრობის წინაშე ჩვენი საღამოს გამგეობა იკისრა.

საღამო ქართველ ღარიბ სტუდენტების სასარგებლოდ იყო გამართული. დარჩა ოთხასიოდე მანეთი.

«ძველი სტუდენტი».

შინ პუტილოვის გორაკზედა და რკინის გზის მახლობლად გააფთრებული ზარბაზნების სროლა იყო. უფრო გაცხარდა სროლა ნაშუადღევის სამის საათიდან ხუთამდე. აქამდე ამისთანა საშინელი სროლა ჯერ არა ყოფილა, თუ არ პორტ-არტურთან. ეს გარემოება იმითი აიხსნება, რომ ახალ-ახალი ციხის სანგრევი ზარბაზნები მოდის და ყველა თითქმის სროლაში იყო. ორი კვირაა, ხმა ისმის, რომ იაპონელებმა სატევი ბრძოლა დაიწყესო. გუშინდელი სროლა ზარბაზნებისა ისეთი იყო, რომ უნდა ვიფიქროთ, მალე შემოგვიტევენ იაპონელები. პირველად მოვიდა თოვლი.

**ტოკიო**, 24 ნოემბ. (რეიტ.) გაცხარებულმა ზარბაზნების სროლამ 203 მეტრიან გორაკიდან აიძულა რუსნი 23 ნოემბერს მიეტოვებინათ ავაზაკის გორაკი. იაპონელებმა დაიჭირეს მთლად კოშკი, განდევნეს რუსნი და დაიჭირეს მაღლობი და გორაკი სანლიშანიდან ჩრდილოეთად.

### საღამოს დეპეშები

25 ნოემბერი.

**პეტერბურგი**. კანონთა დეპარტამენტის დავმჯდომარე სენატორი ფრიში და სახელმწიფო საბჭოს წევრი სენატორი ჩერევენსკი შორეულ აღმოსავლეთის განსაკუთრებულ კომიტეტის წევრებად დაინიშნენ.

**კანდოლოსანი**, 24 ნოემბერი. (რეიტერი). რუსეთის აღმოსავლეთის რაზმის მთავარი ბანაკი, იაპონელებისა და გენერალ რენნენკამფის რაზმებთ შორის ბრძოლა შესწყდა. რუსები იაპონელებს პუტილოვის გორიდგან ყოველთვის დიდ ზარბაზნებით ესვრიან. სოფელ ლინშინპუში ახალ გაზდა აფიცრები ყოველ ღამე ადგენენ მოსურნეთა რაზმებს, რომელნიც იაპონელთა ბანაკებში მიდიან, სახლებს უნგრევენ და სხვაგვარ ზიანს აყენებენ. ამგვარი საქმე, რასაკვირველია, ძალიან სახიფათოა, მაგრამ სამაგიეროთ ამით იაპონელებს ბევრს სახათაბალო საქმეს უჩენენ. იაპონელების ის რაზმი, რომელმაც რენენკამფის რაზმზე იერიში მოიტანა, რუსებზე გაცილებით უფრო პატარა იყო. რუსეთის ცხენოსანმა რაზმმა მტერს სდია და დაატყვევა 100 იაპონელი, რომელნიც' ცუდათ იყვნენ ჩაცმულნი და სიცივისაგან იტანჯებოდნენ. ბრძოლის ველზე იაპონელებმა მრავალი მოკლული და დაჭრილი დასტოვეს, რაიც იმათ ჩვეულებას არ ეთანხმება. შეუძლებელია, რომ სამხედრო მოქმედების დაწყება დიდის ხნით გადაიდოს. მდინარეები გაიყინა, ერთი კვირის შემდეგ მდინარე ხუნხეზე ყინულზე მასალისა და სურსათის გადატანა შესაძლებელი იქმნება.

**პეტერბურგი**, გენერალ-ლეიტ. სახაროვის დეპეშა მთავარ შტაბის სახელობაზე 24 ნოემბრის თარიღით: «24 ნოემბერს ბრძოლის შესახებ არავითარი ცნობა არ მოსულა».

**სოფია**. ბოლგარიის დეპეშათა სააგენტო იუწყება: ზელინიჩში უკანასკნელ ხანებში გაჩნდნენ ბერძენთა რაზმები, რომელნიც რაზმებს ადგენენ. ამ რაზმებს თვითონვე აცმევენ და აჭმევენ. საჭირო ფულს ათინის კომიტეტი, კონსული და ბერძენთა ეპისკოპოსი უგზავნიან. თითო კაცს თვეში 70 ფრანკი ეძლევა. ბერძენთა რაზმები აჯანყებულ ბოლგარელთა რაზმებს ხელს არ ახლებენ ისინი სდევნიან იმ მდიდარ ბოლგარელებს, რომელნიც ბერძენთა საპატრიარხს არ ემორჩილებიან. ამას წინად ქორწილის დროს თავს დაესხნენ მდიდარ ბოლგარელს ტრიფონა გობეზას. რომელსაც სადილად მოწვეული ჰყავნდა ბოლგარიის საუკეთესო ოჯახები და რამდენიმე ოსმალო. საღამოს ათ საათზედ სახლში 70 ბერძენი შემოიჭრა, კარებები დაჰკეტეს და სტუმრების ჟლეტა დაიწყეს. თოფებს ისროდნენ და ხიშტებსაც ხმარობდნენ. მოკლეს 13 კაცი; მათ შორის ჯვარდაწერილნი, საქმროს მოხუცი მამა, 13 წლის ბავშვი 10 წლის ქალი და ბებერი მაჭმადიანი. მძიმედ 5 კაცი დაიჭრა. ეს ცნობები ოსმალთა მთავრობამა და რუსეთისა, ავსტრიისა და იტალიის კონსულებმაც დაამტკიცეს. ნევესკის მცხოვრებლებმა 100 ჯერ გასროლილი თოფის ხმა გაიგონეს, მაგრამ, თუმცა ქალაქში 260 ჯარის კაციც იყო, არავინ ხმა არ ამოიღო და ზელენიჩში მხოლოდ მეორე დღეს მოვიდნენ, ე. ი. მაშინ, როცა ბოროტმოქმედნი უკვე მიიმალნენ.

**კალაგა**, 25 ნოემბ. (რეიტერი). რუსეთის კრეისერი „იზუმრუდ“-ი ნავთსადგურში შემოვიდა და ნახშირი წაიღო.

---

დროებით რედაქტორი **გრ. ყიფშიძე**.
გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი**.

---

### გამოსადეგი ცნობანი:

**პეტერბურგის ბირჟა**

19 ნოემბერს 1904 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. . . . | 93,70 |
| ბერლინში 100 მარკაში . . . . | — |
| პარიჟში 100 ფრანკში . . . . | 37,30 |
| ლონდონში ჩეკები . . . . . | 94,45 |
| ბერლინში ,, . . . . . . | 46,30 |
| პარიჟში . . ,, . . . . . . | — |
| ბირჟის დისკონტი. . . . . . | 91⅝ ნ. გაყ. |
| 4% სახელმწიფო რენტა . . . | — |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. . . . . | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა . . . | — |
| 5% პირ. შინაგ. მომგ.ბილ. 1864 წ. | 427½ ნ. გაყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. . . . . | 320 წ. გაყ. |
| 5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა. . | 271 წ. გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. . . . . . | — |
| 4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა. . . . . | — |
| 4½% ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. . . . | — |
| 5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა. . . . . . | — |
| 6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ. . . . | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა. | 8Ꮭ¼ წ. გაყ. |

---

### სია

ტფილისის ქალაქის სასანიტარო-აღმასრულებლ კომისიაში ჩარიცხული ექიმებისა, რომლებმაც უფასო სამკურნალო დახმარება უნდა გაუწიონ ღარიბ ავადმყოფთ

ავადმყოფმა უნდა მიჰმართონ საექიმო დახმარებისათვის რომელსამე ქვემოდ-აღნიშნულ ექიმთაგანს, მაგრამ სასურველია მიჰმართონ უფრო მახლობლად მყოფს.

**ალადაშვილი**, ალექსანდრე სტეფანეს ძე. იღებს ავადმყოფებს დილით 7 საათ.—9 საათ. საღამოთი 8 საათ.—9 საათ.

ადრესი: ეგზარხოსის მოედანი, სინოდალურ კანტორაში.

**გედალინი**, ალექსანდრე გიორგის ძე, 10 საათ.—11½ საათ. (ცენტრალურ სამკურნალოში), საღამოთი 5 საათ.—7 საათ. სახლში, ბარონის ქუჩა, ავეჯეულის რიგი. სახლი თამამშევისა № 16.

**გეცელი**, ოტტო გიორგის ძე. დილით 7 საათ.—9 საათ., საღამოთი 7 ს.—9 საათ.

მიხეილის ქუჩა, მიხეილის საავადმყოფოს შენობაში.

**ჯანიბეგოვი**, ესტატე ნიკიტის ძე. დილით 7 ს.—9 ს., საღამოთი 7 ს.—9 ს.

სოლოლაკში, ამაღლების ქუჩა, სახლი № 17

**ელჩიევი**, მნაცაკან რომანოზის ძე. დილით 7 ს.—9 ს., საღამოთი 5 ს.—7 ს.

მიხეილის ქუჩა, სახლი № 111.

**ზაბლუდოვსკი**, იოსებ მათეს ძე. დილის 10 ს.—11½ ს. (კუკიის ქალაქის სამკურნალოს განყოფილებაში), საღამოთი 5 ს.—8 ს., სახლში:

გრიბოედოვის ქუჩა, სახლი № 40

**კასუმოვი**, ნიკოლოოზ გერასიმეს ძე. დილით 10 ს.—11½ ს., (ქალაქის სამკურნალოს კუკიის განყოფილებაში), საღამოთი 5 ს.—7 ს.

ალექსანდრეს ქუჩა № 36.

**მირზაევი**, მიხეილ ივანეს ძე. დილით 7 ს.—9 ს. საღამოთი 7 ს.— 9 ს.

კრასნოგორსკის შესახვევი № 8.

**საათსაზოვი**, ივანე თომას ძე. დილით 8 ს.—9 ს., საღამოთი 4 ს.—5 ს.

ალექსანდროვის ქუჩა № 6.

**თათევოსიანი**, ტიგრან მათეს ძე. დილით 9 ს.—1 ს. (ქალაქის სამკურნალოს ხარფუხის განყოფილებაში), 86 ს.—საათ. საღამოთი სახლში.

კრწანისის ქუჩა, სახლი თაიროვისა № 11

### მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

ამ წლის 15 ოკდომბრიდან.

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისის).

#### ა) ტფილისიდან მიდის:

**ბაქოს**: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) ნაშუადღევის 5 ს. 21 წ. (6 ს. 19. წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 44 წ. (8 ს. 42 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.).

**ბათუმს**: 1) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 20 წ. (5 ს. 18 წ.). 2) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.)

**ერევანსა და ყარსს**: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 55 წ. (12 ს. 53 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 10 ს. (10 ს. 58 წ.).

**ბორჯომს**: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

#### ტფილისში მოდის:

**ბაქოდან**: სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 26 წ. (3 ს. 24 წ.); საფოსტო № 3 ნაშუადღევის 3 ს. 03 წ. (4 ს. 01 წ.); სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.); საქ. და სამგზ. № 17 საღამოს 11 ს. 38 წ. (12 ს. 36 წ.).

**ბათუმიდან**: საფოსტო № 4 საღამოს 4 ს. 56 წ. (5 ს. 54 წ.): სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 01 წ. (7 ს. 59 წ.).

**ერევან-ყარსიდან**: საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ); საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

**ბორჯომიდან**: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

#### ბ) ბაქოდან გამოდის:

**ტფილის-ბათუმისაკენ**: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ღამის 1 ს. 15 წ. (2 ს. 13 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 52 წ. (8 ს. 50 წ.); 3) სამგზ. № 5. შუადღის 12 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.)

#### გ) ბათუმიდან გამოდის:

**ბაქო-ტფილისისაკენ**: 1) საფოსტო № 4 დილის 4 ს. 36 წ. (5 ს. 34 წ.); 3) სამგზავრო № 6 საღამოს 6 ს. 05 წ. (7 ს. 03 წ.).

#### დ) ქუთაისიდან გამოდის:

**ბაქო-ტფილისისაკენ**: 1) სამგზავრო № 51 ღამის 12 ს. 05 წ. (1 ს. 03 წ.); 2) სამგზავრო № 53 დილის 8 ს. 25 წ. (9 ს. 23 წ.); 3) სამგზავრო № 55 ნაშუადღევის 2 ს. 20 წ. (3 ს. 18 წ.); სამგზავრო № 57 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

---


## განცხადებანი

### ავტორთა საყურადღებოდ

ამ წლის ივნისის 7-ს ქ. ტფილისში დაარსდა წიგნების გამომცემელი ამხანაგობა «სხივი», რომელსაც საგნად აქვს ჭეშმარიტ ქართული სახალხო და სასწავლო წიგნები მეცნიერების ყველა დარგისა და სიტყვიერებისა.

ამხანაგობა დაიწყებს თავის მოქმედებას მომავალ 1905 წლის თებერვლიდან.

ამხანაგობის დამფუძნებელმა წევრებმა ამოირჩიეს დროებითი სარედაქციო კომისია, რომელსაც დაავალეს მოამზადოს შესაფერი მასალა გამოსაცემად.

ამხანაგობას ჯერ-ჯერობით აზრად აქვს გამოსცეს შემდეგის დარგის ორიგინალური და ნათარგმნი თხზულებანი: საექიმო, სამეურნეო, ისტორიული და პოლიტიკურ-ეკონომიური.

ხსენებული დროებითი რედაქცია სთხოვს ბ-ნთ ავტორებს, მოაწოდონ თავიანთი თხზულებანი გასასინჯად და გამოსაცემად.

რედაქცია სთხოვს ავტორებს ნაწარმოებთან ერთად აცნობოს მას წერილით: რა პირობებით სურთ დაუთმონ ამხანაგობას თავიანთი თხზულებანი.

ნაწარმოების გამოგზავნა შეიძლება შემდეგის ადრესით: ალექსანდრე ივანეს ძე სარაჯიშვილს (ქ. ტფილისი, იზმაილოვის ქ. № 44.), ანუ ალექსანდრე გრიგოლის ძეს სოლოღაშვილს. (ქ. ტფილისი, გოლოვინის პროსპ. № 12).

სარედაქციო კომისიის წევრნი: ალ. სარაჯიშვილი, ს. დღოტი, ს. გორგაძე, ალ. სოლოღაშვილი.

---

### ვკისრულობ

კორექტურულ საქმეებს იაფ ფასად და საიმედოდ. მსურველთ მიმართონ «ივერიის» რედაქციაში, დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე, დ. ჯ.-ს.

(0—უ—1).

---

დაიბეჭდა და დარიგდება გასასყიდად ყველგან

## საყოველთაო სურათებიანი კალენდარი

შედგენილი **კ. თავართქილაძის-მიერ**

კალენდარში მრავალი საკალენდრო ცნობათა განყოფილების გარდა, მოთავსებულია ვრცელი სამეცნიერო და სალიტერატურო განყოფილება. კალენდარი შეიცავს 256 გვერდს და ჰღირს 20 კაპ. პარტიით მყიდველს დაეთმობა 40%.

**იბეჭდება და ამ თვის დამლევს გამოვა ამავე ავტორის**

## სურათებიანი კედლის კალენდარი,

შევსებული მრავლ სასარგებლო ცნობებითა და წერილებით, მშვენივრად, ფერადის წამლებით დაბეჭდილს კარდონზედ (რუსეთშია მომზადებული). ფასი 40 კაპ. პარტიობით მყიდველს დაეთმობა 40%.

**ადრესი**: ტფილისი, კ. თავართქილაძე. (8—6).

---

პირველად ქართულს ენაზე

ყველასათვის **საჭირო** და **სასარგებლო** წიგნი

## უცხო სიტყვათა ლექსიკონი

რომელშიაც შეკრებილი და განმარტებულია ათი-ათასამდე უცხო სიტყვა ყველასთვის გასაგების ენითა და მაგალითებით, რუსულისა და უცხო ენათა საუკეთესო ლექსიკონებისა, სამეცნიერო წიგნებისა და ჩვენის ჟურნალ-გაზეთებიდან გამოკრებილ-შედგენილი იოსებ იმედაშვილის-მიერ. წიგნს დართულ აქვს ლათინური, ფრანგული, ინგლისური და სხ. «**უცხო ანდაზები და წინადადებანი**», რომელიც არა ერთ გზის იხმარება ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში. წიგნი შეიცავს 1130 გვერდს, დაბეჭდილია სუფთად, კარგს ქაღალდზედ და ჰღირს მხოლოდ ერთი მან., ჩვეულებრივის ყდით 1 მ. და 15 კაპ., საუცხოვო (ოქროს ვარაყიან ასოებით დაბეჭდილი) კალენკორის ყდით მანეთ-ნახევარი. გასაგზავნი ხარჯი 20 კაპ.; წიგნი ფას-დადებითაც (съ налож. пл.) შეიძლება გაიწერონ. უმთავრესი საწყობია ტფილისში, ქვაშვეთის ქუჩაზე, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, გამომცემლის წიგნთ-სავაჭროში. ადრესი: Тифлисъ. Книжная торговля, Іос. Зах. Имедашвили. (10—10)

---

ვისაც უნდა დაიკვეთოს 1905 წ.

## კალენდარი (სათვეო)

## „ცოდნა“

**მიჰმართონ სოსიკო მერკვილაძეს.**

✦ კალენდარი ჰღირს ორ შაურად ✦

ვინც ერბაშად ასს ცალზე მეტს იყიდის, კალენდარი დაეთმობა

**ექვს-ექვს კაპეიკად.**

ტფილისი, ქვაშვეთის ქუჩა, არჯევანიძის სახლი, № 12.

ფოსტით: მისამართი Тифлисъ. Книжный магазинъ „ЦОДНА“. (10—10).

---

გაზეთ „ივერიის“ რედაქციამ შესაძლებლად სცნო ა. სუმბათაშვილის 5 მოქმედ დრამა-ლეგენდა

## ლალატი,

თარგმნილი გრ. ყიფშიძის მიერ, დაეთმოს მსურველთ 50 კაპ.

ვინც ათ ცალს ანუ მეტს მოითხოვს, თითო წინგნი დაეთმობა ორ აბაზად, აგრეთვე ფას დადებით დაეთმობათ მსურველთ გაზეთ «ივერიის» მიერ გამოცემული შორეულ აღმოსავლეთის დაფერადებული

## ქართული რუკა

თითო ცალი 10 კაპ.

ვინც ათ ცალს ანუ მეტს წაიღებს, დაეთმობათ თითო ცალი 5 კაპ.

---

ვისაც კი გსურთ აიცილოთ გაქურდვა და დამშვიდებული იყვეთ **იყიდეთ**, მარტო 4 მან. 90 კაპ., სააუდამო, უკეთესად შემუშავებული ავტომატიური ხმაურობის გამომწვეველი აპარატი „**ენდოლიანსი**“, მოწონებული ფინანსთა სამინისტროს მიერ № 13,884.

შეგიძლიანთ დაჰკეტოთ ყოველ გვარი სადგომი და საწყობი, ისინიც კი, რომლებიც იმყოფებიან თქვენგან მოშორებით. შეგიძლიანთ აგრეთვე წახვიდეთ სადმე დულ-გამშვიდებული, რომ არ გეშინოდეთ ქურდებისა. „**ენდოლიანსი**“ ანიშნებს როგორც შიგნით, ისე გარეთ მყოფთაც. რაწამს დაუპატიჟებელი სტუმარი შეხებება კარებს, ფანჯარას ანუ კარებს გასაღებად, აპარატი „**ენდოლიანსი**“, გარედგან შეუმჩნეველი, გამოიწვევს საშინელ ხმაურობას, მარტო თოფის წამლის აფეთქებით, საშიში არ არის. ხმაურობა ისმის სადგომის შიგნითაც და გარეთაც და აგრეთვე შორ მანძილზედაც. თუ სადგომის პატარა ზარს შეაერთებთ აპარატთან, მაშინ აპარატის ხმაურობასთან ერთად ზარი დაიწყებს წკარუნს, რომელ სადგომშიაც უნდა იყოს, და არ შეჩერდება ვიდრე სახლის პატრონთაგანი ვინმე არ შეაჩერებს.

„**ენდოლიანსი**“ საჭიროა საყდრებისა, სახლებისა აგარაკებში, მაღაზიებისა, ბეღლებისა, ჩარდახებისა, სარდაფებისა, მარნებისა, თავლებისა და სხვა სადგომების გაქურდვისაგან დასაცველად. როგორ ადგილშიაც უნდა იყოს სადგომი, სულ ერთია. ეს აპარატი მაგარი ნამუშავარია და ყველას ადვილად შეუძლიან იხმაროს.

ფასი გაგზავნით: ნიკელ გადაკრული აპარატი ჰყირს 4 მან. 90 კაპ., შევერცხლილი—5 მან. 60 კაპ.; ფასს დადებით 10 კაპეიკით მეტი ჰღირს, აზიის რუსეთში კი 30 კაპეიკით მეტი. ვინც ციმბირში გაიწერს, უნდა გამოგზავნოს 2 მანეთ. შეიძლება ფოშტის მარკებით.

მსურველთ მოითხოვონ ამ ადრესით: Т-во „Эндолянъ“. Варшава, Милая 37/105.

**განსაკუთრებითი ნაწარმოებია.**

(5—6—)




Тип. Е. И. Хеладзе. Русск. базаръ, домъ арм. семинаріи.